

შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო
უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება № 01-01/73

თბილისი

“ 25 “ ივლისი 2019 წ.

*მოწვეული სპეციალისტის თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების
შესახებ:*

მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის, გთუნი-ს წესდების მე-5 მუხლის, შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის დებულების 47-ე მუხლის მე-47.3 პუნქტის თანახმად, „აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის, მოწვეული სპეციალისტისა და მასწავლებლის არჩევის წესის“ მე-2 მუხლის მე-6 პუნქტის და მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, გთუნი-ს სამართლის ფაკულტეტის საჯარო სამართლის და კერძო სამართლის კათედრის გამგეების წარდგინების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიმდინარე წლის 25 ივლისიდან შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის კერძო და საჯარო სამართლის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების მიმართულებით გამოცხადდეს კონკურსი შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მოწვეული სპეციალისტის თანამდებობის დასაკავებლად 3 წლის ვადით.
2. მოწვეული სპეციალისტის თანამდებობის დასაკავებლად კონკურსი გამოცხადდეს შემდეგ თანამდებობებზე:

საჯარო სამართლის კათედრა

მიმართულება - სამართალი
დარგი/სპეციალობა - საჯარო სამართალი
ქვედარგის სპეციალისტი- სამოხელეო სამართალი
მოწვეული სპეციალისტი - 1 ვაკანსია

კერძო სამართლის კათედრა

მიმართულება - სამართალი
დარგი/სპეციალობა - კერძო სამართალი
ქვედარგის სპეციალისტი- საკორპორაციო სამართალი
მოწვეული სპეციალისტი - 1 ვაკანსია

ქვედარგის სპეციალისტი - ინტელექტუალური საკუთრების სამართალი
მოწვეული სპეციალისტი - 1 ვაკანსია

ქვედარგის სპეციალისტი - სახელშეკრულებო სამართალი
მოწვეული სპეციალისტი - 1 ვაკანსია

3. კონკურსანტების საბუთების მიღება იწარმოოს მ/წლის 02 სექტემბრიდან 13 სექტემბრის ჩათვლით. (ყოველდღე შაბათ-კვირის გარდა 10 საათიდან – 16 საათამდე)
4. კონკურსი ჩატარდება მ/წლის 23 სექტემბერს.
5. კონკურსის შედეგები შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო კომისიაში (24, 25, 26 სექტემბერი)
6. კონკურსი დასრულდეს და საბოლოო შედეგები გამოქვეყნდეს მ/წლის 27 სექტემბერს.
7. ყველა კონკურსანტი ვალდებულია წარმოადგინოს:
 - განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ;
 - კონკურსანტის ანკეტა (CV)
 - საქართველოს მოქალაქეობის პირადობის მოწმობის ასლი;
 - ორი ფერადი ფოტოსურათი ზომით (3X4)
 - უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დიპლომის ასლი, დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი (არსებობის შემთხვევაში)
 - ცნობა სამსახურიდან შრომის სტაჟის შესახებ ან ამონაწერი შრომის წიგნაკიდან (არსებობის შემთხვევაში)
 - გამოქვეყნებულ ნაშრომთა სია (არსებობის შემთხვევაში)
 - სილაბუსები
8. ყველა კონკურსანტმა სასურველია წარმოადგინოს:
 - უცხო ენების ფლობის დამადასტურებელი ცნობა
 - სხვა სერთიფიკატები

დაევალოს ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს ბრძანება გადასცეს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს.

დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს აღნიშნული ბრძანების გამოქვეყნება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, ასევე უნივერსიტეტში თვალსაჩინო ადგილას.

რექტორი, პროფესორი
გიორგი მათიაშვილი